ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №105

გამარტივებული შესყიდვა

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად)

დაფინანსების წყარო 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

ქ. თბილისი **„10“ თებერვალი 2023 წ.**

სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ #4, ტელ: 2436999, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. #GE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, სკ-204578206), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის **მაია ომიაძის** სახით და **შპს ბათუმი თაუერი** (მის: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/ჟღენტის ქუჩა, კომერციული შენობა #1, სართული 26 ; საბანკო რეკვიზიტები: სს „TBC ბანკი“; ბ/კ TBCBGE22 ა/ნ GE98TB7182536050100006; ს/კ 404483019) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირი გენერალური მენეჯერი **ტონი ივანოვ ტოჩევის** სახით, შემდგომში წოდებული “მიმწოდებლად”, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

სასტუმრო მომსახურება

(ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან ბლოგერების 13 კაციანი ჯგუფის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში)

(CPV 55110000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **5 602.58** (ხუთი ათას ექვსას ორი ლარი და 58 თეთრი) **ლარს;**

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება წარმოადგენს რა საორიენტაციო მაჩვენებელს, რომლიდანაც ანაზღაურდება მხოლოდ კონკრეტულად გაწეულ მომსახურებათა ღირებულება, შესაბამისად შემსყიდველი, წინამდებარე ხელშეკრულებით ვალდებული არ არის განახორციელოს ხელშეკრულების ღირებულების სრულად ათვისება.

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელი, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3.5. მომსახურების გაწევის ვადა: **დანართი N1-ის შესაბამისად.**

3.6. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. ბათუმი, ე.ნინოშვილისა და ჟღენტის ქუჩების კვეთა, სასტუმრო „LE MERIDIEN BATUMI ‘’.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა დანართი №1-ის შესაბამისად.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2. **ინსპექტირებას განახორციელებს: სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საერთაშორისო ტურიზმის სტიმულირების სამმართველოს უფროსი მარინა ბოჯგუა ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

6.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზიანი მომასხურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობით დადგენილ ვადაში გამოასწოროს ხარვეზი ან თუ ხარვეზის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4. თუ ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის გასწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ ხარვეზის გამოსწორება, ხოლო ხარვეზის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2. **მომსახურების მიღებას აწარმოებს: სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საერთაშორისო ტურიზმის სტიმულირების სამმართველოს უფროსი მარინა ბოჯგუა ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 3.4 და 4.1. პუნქტით განსაზღვრული მომსახურების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%-ის** ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 6.3. პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%-ის** ოდენობით.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან, **მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, მომსახურების გაწევაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ელექტრონული დოკუმენტის სახით ქართულ ენაზე, როგორც შემსყიდველისათვის, ასევე მიმწოდებლისთვის.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმიადმინისტრაცია
მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ #4
ტელეფონი: 2 436999
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
სკ-204578206

მიმწოდებელი

შპს ბათუმი თაუერი
მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/ჟღენტის ქუჩა, კომერციული შენობა #1, სართული 26
ტელეფონი: +995 422 299 090; 577 003 413 .
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22 ა/ნ GE98TB7182536050100006;
ს/კ 404483019

ხელმძღვანელი

მაია ომიაძე

დირექტორის მინდობილი პირი
გენერალური მენეჯერი
ტონი ივანოვ ტოჩევ

N	თარიღი	სასტუმროს მომსახურება	ოთახების რ-ბა	ღამეების რ-ბა	ერთ. ღ-ბა	სულ თანხა
1	11.02.2023-13.02.2023	ერთადგილიანი ნომერი	11	2	229.99 ლარი	5 059.78 ლარი
2	11.02.2023-13.02.2023	ორადგილიანი ნომერი	1	2	271.40 ლარი	542.80 ლარი
					სულ:	**5 602.58 ლარი**

შემსყიდველი

სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმიადმინისტრაცია
მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ #4
ტელეფონი: 2 436999
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
სკ-204578206

მიმწოდებელი

შპს ბათუმი თაუერი
მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/ჟღენტის ქუჩა, კომერციული შენობა #1, სართული 26
ტელეფონი: +995 422 299 090; 577 003 413 .
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22 ა/ნ GE98TB7182536050100006;
ს/კ 404483019

ხელმძღვანელი

მაია ომიაძე

დირექტორის მინდობილი პირი
გენერალური მენეჯერი
ტონი ივანოვ ტოჩევ

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ სასტუმრო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვით დადებულ **2023 წლის 10 თებერვლის №105** ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელმძღვანელი — Maia Omiadze 01020009083 — Digitally signed by Maia Omiadze Date: 2023.02.13 15:58:05 — მაია ომიაძე

ინსპექტირების და მიღება-ჩაბარების განმახორციელებელი პირი — მარინე ხურცილავა

Marine Khurtsilava — Digitally signed by Marine Khurtsilava Date: 2023.02.13 12:52:44

Toni ivanov Tochev 01092001163 — Digitally signed by Toni ivanov Tochev Date: 2023.02.20 13:08:59